

რაგვიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2004 წლის 26 ოქტომბრის N 522 დადგენილებით

გერორიზმის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენციის შემსწორებელი ოქმი

ქვემოთ ხელისმომწერი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

იღებენ რა მხედველობაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2001 წლის 12 სექტემბრის განცხადებასა და 2001 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებას საერთაშორისო გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, და 2002 წლის 3 მაისს, ვილნიუსში მინისტრთა კომიტეტის 110-ე სესიაზე მიღებულ ვილნიუსის განცხადებას რეგიონალური თანამშრომლობისა და გაფართოებულ ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის კონსოლიდაციის შესახებ;

იღებენ რა მხედველობაში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1550 (2002) რეკომენდაციას გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის შესახებ;

იღებენ რა მხედველობაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციას A/RES/51/210 საერთაშორისო გერორიზმის აღმოფხვრის ზომების თაობაზე და მასთან თანდართულ განცხადებას, რათა შეიქმნას 1994 წლის განცხადება საერთაშორისო გერორიზმის აღმოფხვრის ზომების შესახებ, და მის რეზოლუციას A/RES/49/60 საერთაშორისო გერორიზმის აღმოფხვრის ზომების შესახებ და მასთან თანდართულ განცხადებას საერთაშორისო გერორიზმის აღმოფხვრის თაობაზე;

სურთ რა, გააძლიერონ გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ამასთან დაიცვან ადამიანის უფლებები, ითვალისწინებენ რა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2002 წლის 11 ივლისს მიღებულ სახელმძღვანელო პრინციპებს ადამიანის უფლებებისა და გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

მიიჩნევენ, რომ ამ მიზნისათვის მნიშვნელოვანია შესწორდეს “გერორიზმის წინააღმდეგ ევროპული კონვენცია” (ETS.No 90) , რომელსაც ხელი მოეწერა 1997 წლის 27 იანვარს ქ. სტრასბურგში, შემდგომში “კონვენციალ” წოდებული;

ითვალისწინებენ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა კონვენციის პირველ მუხლში ჩამოყალიბებული საერთაშორისო კონვენციათა სიის განახლება და საჭიროების შემთხვევაში გაადვილებული პროცედურის შემოღება ამ სიის შემდგომი განახლების მიზნით;

ითვალისწინებენ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა კონვენციის იმპლემენტაციის შემდგომი კონტროლის მექანიზმის გაძლიერება;

ითვალისწინებენ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა დათქმების რეჟიმის გადახედვა;

ითვალისწინებენ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა კონვენციის გახსნა ხელმოსაწერად ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსათვის,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. კონვენციის პირველი მუხლის შესავალი პუნქტი გახდება ამავე მუხლის პირველი პუნქტი. ამ პუნქტის b ქვეპუნქტში გერმინი “ხელმოწერილი” შეიცვლება გერმინით “მიღებული” და ამ პუნქტის c,d,e, და f ქვეპუნქტები ჩანაცვლდებიან შემდეგი ქვეპუნქტებით:

“ც. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1973 წლის 14 დეკემბერს მიღებული, საერთაშორისოდ დაცული პირების, მათ შორის დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრვენციისა და დასჯის შესახებ კონვენციის ფარგლებში;

d. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1979 წლის 17 დეკემბერს მიღებული, მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში;

e. დანაშაული, ქ. ვენაში 1980 წლის 3 მარტს მიღებული, ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში;

f. დანაშაული, ქ. მონრეალში 1988 წლის 24 თებერვალს შესრულებული, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის არაკანონიერი აქტების აღკვეთის შესახებ ოქმის ფარგლებში.”

2. კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩანაცვლებულ იქნება შემდეგი ქვეპუნქტებით:

“g. დანაშაული, ქ. რომში 1988 წლის 10 მარტს შესრულებული, საზღვაო ნავიგაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების აღკვეთის შესახებ კონვენციის ფარგლებში;

h. დანაშაული, ქ. რომში 1988 წლის 10 მარტს შესრულებული, კონტინენტალურ შეღწე მდებარე დამაგრებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების აღკვეთის შესახებ ოქმის ფარგლებში;

i. დანაშაული, ნიუ-იორკში 1997 წლის 15 დეკემბერს მიღებულ გერორისტული დაბომბვების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში;

j. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1999 წლის 9 დეკემბერს მიღებული, გერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში.”

3. კონვენციის პირველი მუხლის გექსტი ჩანაცვლებულ იქნება შემდეგი პუნქტით:

“2. რამდენადაც ისინი არ არიან გათვალისწინებულნი პირველ პუნქტში ჩამოთვლილი კონვენციებით, იგივე გამოიყენება, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის ექსტრადირების მიზნით, არა მხოლოდ ასეთი სერიოზული დანაშაულების ჩადენისას, როგორც დამნაშავე, არამედ:

a. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენის მცდელობა;

b. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენაში ან მათი ჩადენის მცდელობაში თანამშრახველად მონაწილეობა;

c. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ორგანიზება, ან სხვათა ხელმძღვანელობა დანაშაულის ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში.”

მუხლი 2

კონვენციის მეორე მუხლის მესამე პუნქტი შესწორებულ იქნება შემდეგი რედაქციით:

“3. იგივე გამოიყენება:

a. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ჩადენის მცდელობის შემთხვევაში;

b. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ჩადენაში ან მათი ჩადენის მცდელობაში თანამშრახველად მონაწილეობის შემთხვევაში;

c. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ორგანიზებაში, ან ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში სხვა პირთა ხელმძღვანელობის შემთხვევაში.”

მუხლი 3

1. კონვენციის მეოთხე მუხლის გექსტი გახდება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი და შემდეგი ახალი წინადადება დაემატება პუნქტის ბოლოს: “ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას განიხილონ ასეთი დანაშაულებანი როგორც საექსტრადიცო დანაშაულები მათ შორის შემდგომში დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში ექსტრადაციის შესახებ”.

2. კონვენციის მეოთხე მუხლის ტექსტი ჩანაცვლება შემდეგი პუნქტით:

“2. როდესაც ხელშემკვერელი სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას უქვემდებარებს შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, იღებს თხოვნას ექსტრადიციის თაობაზე სხვა ხელშემკვერელი სახელმწიფოს მხრიდან, რომელთანაც მას არ გააჩნია ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ, მოთხოვნის მიმღებ ხელშემკვერელ სახელმწიფოს შეუძლია, მისი შეხედულებისამებრ, განიხილოს წინამდებარე კონვენცია, როგორც სამართლებრივი ბაზა ექსტრადიციისათვის იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც მოყვანილია პირველ და მეორე მუხლებში.”

მუხლი 4

1. კონვენციის მეხუთე მუხლის ტექსტი გახდება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი.

2. კონვენციის მეხუთე მუხლის ტექსტი ჩანაცვლებულ იქნება შემდეგი პუნქტებით:

“2. წინამდებარე კონვენციაში არაფერი იქნება განმარტებული, როგორც ვალდებულების დამდგენი ექსტრადიციაზე, თუ ექსტრადიციას დასაქვემდებარებელი პირი დადგება წამების რისკის წინაშე.

3. წინამდებარე კონვენციაში არაფერი იქნება განმარტებული, როგორც ვალდებულების დამდგენი ექსტრადიციაზე, თუ ექსტრადიციას დასაქვემდებარებელი პირი დადგება სიკვდილით დასჯის რისკის წინაშე ან სადაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობას, სამუდამო პატიმრობის რისკის წინაშე, შესაბამისი სასჯელის გადახედვის შესაძლებლობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოსაყენებელი საექსტრადიციო ხელშეკრულების შესაბამისად, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ექსტრადიცია, თუ მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფო იძლევა ისეთ გარანტიებს, რომლებსაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო მიიჩნევს საკმარისად, რათა უმაღლესი სასჯელი არ იქნას გამოტანილი, ან თუ გამოტანილია, არ იქნას აღსრულებული, ან აღნიშნულ პირს არ შეეფარდება სამუდამო პატიმრობა, მისი გადახედვის უფლების გარეშე.”

მუხლი 5

კონვენციის მერვე მუხლის შემდეგ ჩამოყალიბდება შემდეგი ახალი მუხლი:

“ხელშემკვერელ სახელმწიფოებს შეუძლიათ მათ შორის დაღონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები, რათა ჩაანაცვლონ წინამდებარე კონვენციის დებულებები ან ხელი შეუწყონ მასში შესული პრინციპების გამოყენებას.”

მუხლი 6

1. კონვენციის მეცხრე მუხლი გახდება მეათე მუხლი.

2. ახალი მეათე მუხლის პირველი პუნქტი ჩასწორდება შემდეგნაირად:

“1. სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი (CDPC) პასუხისმგებელია კონვენციის გამოყენების შემდგომ განხილვაზე. ევროპული კომიტეტი:

a. ინფორმირებულ იქნება კონვენციის გამოყენების თაობაზე;

b. მოამზადებს წინადადებებს, კონვენციის გამოყენების ხელშეწყობის ან გაუმჯობესების მიზნით;

c. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს რეკომენდაციებს კონვენციის შესწორების წინადადებების თაობაზე და მიაწვდის თავის დასკვნას კონვენციის შესწორების ნებისმიერ წინადადებაზე, რომელიც წარდგენილი იქნება ხელშემკვერელი სახელმწიფოს მიერ მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად;

d. ხელშემკვერელი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოხატავს თავის შეხედულებას კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

ე. მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა ხელი შეუწყოს იმ ნებისმიერი სირთულის მეგობრულ გადაწყვეტას, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას კონვენციის აღსრულებიდან;

ფ. მიმართავს მინისტრთა კომიტეტს რეკომენდაციებით ევროპის საბჭოს იმ არაწევრი სახელმწიფოების თაობაზე, რომლებიც მიწვეულ იქნებიან კონვენციასთან მისაერთებლად მე-14 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად;

გ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ყოველწლიურად მიაწოდებს მოხსენებას კონვენციის გამოყენებისას წინამდებარე მუხლის გამოყენების შესახებ”.

3. ახალი მეათე მუხლის მეორე პუნქტი წაიშლება.

მუხლი 7

1. კონვენციის მეათე მუხლი გახდება მე-11 მუხლი.

2. ახალი მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, სიტყვები “მე-9 მუხლის მეორე პუნქტი” ჩანაცვლება სიტყვებით “მეათე მუხლის ე. პუნქტით ან მოლაპარაკებით”. წინამდებარე პუნქტის მეორე წინადადებაში, ტერმინი “ორი” წაიშლება. წინამდებარე პუნქტის დარჩენილი წინადადებები წაიშლება.

3. ახალი მე-11 მუხლის მეორე პუნქტი გახდება წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტი. წინადადება “როდესაც უმრავლესობა ვერ იქნება მიღწეული, სამედიაციო მოსამართლეს გააჩნია გადამწყვეტი ხმა” დაემატება მეორე წინადადების შემდეგ და უკანასკნელ წინადადებაში ტერმინი “მისი გადაწყვეტილება”, ჩანაცვლება ტერმინებით “ტრიბუნალის გადაწყვეტილება”.

4. ახალი მე-11 მუხლის ტექსტი ჩანაცვლება შემდეგი პუნქტებით:

“2. თუ დავაში ჩართულნი არიან მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, და მხარე ვერ ასახელებს თავის არბიტრს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნიდან 3 თვის განმავლობაში, არბიტრი მეორე მხარის მოთხოვნით დაინიშნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

3. თუ დავა მოიცავს მხარეებს, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და მხარე ვერ ასახელებს მის არბიტრს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნიდან 3 თვის განმავლობაში, არბიტრი დასახელება მეორე მხარის მოთხოვნით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

4. წინამდებარე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე არის დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მოქალაქე, მის მოვალეობას შეასრულებს სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარე, ან თუ ვიცე-თავმჯდომარე წარმოადგენს, დავის ერთ-ერთი მხარის მოქალაქეს, მის მოვალეობას შეასრულებს სასამართლოს ყველაზე მაღალი რანგის მოსამართლე, რომელიც არ წარმოადგენს დავის მონაწილე რომელიმე მხარის მოქალაქეს.

5. გემოხსენებულ მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული პროცედურები, *mutatis mutandis* გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არბიტრები ვერ დანიშნავენ სამედიაციო მოსამართლეს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.”

მუხლი 8

ახალი მუხლი ჩამოყალიბდება ახალი მე-11 მუხლის შემდეგ:

“მუხლი 12

1. წინამდებარე კონვენციაში შესწორებები შესაძლებელია წარმოადგინონ იქნას ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს, ან მინისტრთა კომიტეტის მიერ. ევროპის საბჭოს

გენერალური მდივანი შეაგყობინებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შესწორების შეგანაზე წინადადების შესახებ.

2. არაწვერი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისა და თუ აუცილებელია სისხლის სამართლის პრობლემებზე ევროპული კომიტეტის კონსულტირების შემდეგ, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს შემოთავაზებული შესწორებები ევროპის საბჭოს წესდების მე-20.d მუხლით გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობით. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მიღების მიზნით გადაუგზავნის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ნებისმიერ ცვლილებებს.

3. ზემოთმოყვანილი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შესწორება ძალაში შევა ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ შესწორების მიღების შესახებ ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის შეგყობინების დღიდან 30-თი დღის შემდეგ.”.

მუხლი 9

ახალი მე-12 მუხლის შემდეგ შემოღებულ იქნება ახალი მუხლი შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 13

1. პირველი მუხლის პირველ პუნქტში მოყვანილ ხელშეკრულებათა სიის განახლების მიზნით, შესწორებათა შესახებ წინადადებების შეგანა შესაძლებელია ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მინისტრთა კომიტეტის მიერ. აღნიშნული წინადადებები შესწორებების შესახებ დაკავშირებული იქნება მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებულ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებულ და უკვე ძალაში შესულ ხელშეკრულებებთან. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი წინადადებებს მიაწოდებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს.

2. არაწვერ ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან და თუ აუცილებელია სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპულ კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს შემოთავაზებული შესწორება ევროპის საბჭოს წესდების მე-20.d მუხლით გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობით. შესწორება ძალაში შევა იმ თარიღიდან ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც ის გადაგზავნილ იქნა ხელშემკვრელ სახელმწიფოებისათვის. ამ დროის განმავლობაში, ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია აცნობოს გენერალურ მდივანს მასთან დაკავშირებით შესწორების ძალაში შესვლაზე ნებისმიერი შენიშვნის თაობაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ერთი მესამედი აცნობებს გენერალურ მდივანს შენიშვნებს შესწორების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, შესწორება ძალაში არ შევა.

4. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ერთ მესამედზე ნაკლებს გააჩნია შენიშვნები, შესწორება ძალაში შევა მხოლოდ იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის, რომლებმაც არ გამოთქვეს თავისი შენიშვნები.

5. თუ შესწორება შევიდა ძალაში წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად და ხელშემკვრელმა მხარემ მასთან დაკავშირებით წარმოადგინა შენიშვნები, აღნიშნული შესწორება ამ ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის ძალაში შევა იმ თარიღიდან ერთთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც იგი აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მასზე თანხმობის შესახებ.”.

მუხლი 10

1. კონვენციის მე-11 მუხლი გადაკეთდება მე-14 მუხლად.

2. ახალი მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, ტერმინები “ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები” ჩანაცვლებულ იქნება ტერმინებით “ევროპის საბჭოს წევრი და

დამკვირვებელი სახელმწიფოები" და მეორე და მესამე წინადადებაში, გერმინები "ან მოწონება" შეიცვლება გერმინებით "მოწონება ან მიერთება".

3. ახალი მე-14 მუხლის გექსტს დაემატება შემდეგი პუნქტი:

"3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტის კონსულტირების შემდეგ, შეუძლია კონვენციასთან მისაერთებლად მოიწვიოს ევროპის საბჭოს ის არაწევრი სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან მითითებული წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში. გადაწყვეტილება მიღებულ იქნება ევროპის საბჭოს წესდების მე-20.d მუხლით გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობით და მინისტრთა კომიტეტში მონაწილეობის უფლებით აღჭურვილი ხელშემკვრელ სახელმწიფოების წარმომადგენელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით."

4. ახალი მე-14 მუხლის მესამე პუნქტი გახდება წინამდებარე მუხლის მეოთხე პუნქტი და გერმინები "ან მოწონებით" და "ან მოწონება" ჩანაცვლდება შესაბამისად გერმინებით "მოწონებით ან მიერთებით" და "მოწონება და მიერთება".

მუხლი 11

1. კონვენციის მე-12 მუხლი გადაკეთდება მე-15 მუხლად.

2. ახალი მე-15 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, გერმინები "ან მოწონება" შეიცვლება გერმინებით "მოწონება ან მიერთება".

3. ახალი მე-15 მუხლის მეორე პუნქტის პირველ წინადადებაში, გერმინები "ან მოწონება" შეცვლილია გერმინებით "მოწონება ან მიერთება".

მუხლი 12

1. წინამდებარე ოქმის ხელმოსაწერად გახსნამდე კონვენციის მიმართ გაკეთებული დათქმები არ გამოიყენება კონვენციისადმი, როგორც ეს ჩასწორებულია წინამდებარე ოქმით.

2. კონვენციის მე-13 მუხლი გადაკეთდება მე-16 მუხლად.

3. ახალი მე-16 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში გერმინებს „[კონვენციის შემსწორებელი ოქმის ხელმოსაწერად გახსნის დღისათვის] კონვენციის მხარე“ დაემატება გერმინი „შეუძლიათ“, ხოლო გერმინები „კონვენციის შემსწორებელი ოქმი“ დაემატება გერმინს „მოწონება“. მეორე წინადადება დაემატება გერმინების „პოლიტიკური მოტივების“ მერე შემდეგი რედაქციით: „ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გამოიყენონ აღნიშნული დათქმა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამის დაფუძნებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით და დანაშაულის ხასიათის შეფასების დროს ჯეროვნად გაითვალისწინონ დანაშაულის განსაკუთრებით სერიოზული ნებისმიერი მხარე, მათ შორის“ პირველი წინადადების დარჩენილი ნაწილი წაიშლება გარდა a, b და c ქვეპუნქტებისა.

4. ახალი მე-16 მუხლის გექსტს დაემატება შემდეგი პუნქტი:

„2. როდესაც გამოიყენება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი, ხელშემკვრელი სახელმწიფო მიუთითებს იმ დანაშაულებს, რომელთა მიმართებაშიც გამოიყენება მისი დათქმა“.

5. ახალი მე-16 მუხლის მეორე პუნქტი გადაკეთდება ამავე მუხლის მესამე პუნქტად. ამ პუნქტის პირველ წინადადებაში გერმინი "ხელშემკვრელი" დაემატება გერმინი "სახელმწიფოს" წინ და გერმინები "წინამდებარე პუნქტი" შეიცვლება გერმინებით "პირველი პუნქტი".

6. ახალი მე-16 მუხლის მესამე პუნქტი გადაკეთდება ამავე მუხლის მეოთხე პუნქტად. ამ პუნქტის პირველ წინადადებაში, გერმინი "ხელშემკვრელი" ჩამოყალიბდება გერმინი "სახელმწიფოს" წინ.

7. ახალი მე-16 მუხლის გექსტს დაემატება შემდეგი პუნქტები:

"5. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დათქმები მოქმედებენ დაკავშირებულ სახელმწიფოსთან მიმართებაში" შესწორებული კონვენციის ძალაში შესვლის

დღიდან სამი წლის ვადით. თუმცა, ასეთი დათქმები შესაძლებელია განახლებულ იქნას იგივე ვადით.

6. დათქმის ვადის ამოწურვამდე თორმეტი თვით ადრე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეს აღნიშნული ვადის ამოწურვის თაობაზე, ვადის ამოწურვამდე, არაუგვიანეს სამი თვით ადრე, ხელშემკვრელი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ იგი გოვებს ძალაში, ცვლის ან აუქმებს მის დათქმას. მაშინ როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ იგი გოვებს ძალაში დათქმას, მან უნდა წარადგინოს ასეთი გაგრძელების დამასაბუთებელი ახსნა. იმ შემთხვევაში თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო არაფერს არ აცნობებს გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომ მისი დათქმა ითვლება ავტომატურად განახლებულად მომდევნო ექვსი თვით. იმ შემთხვევაში თუ ამ პერიოდის ამოწურვამდე, ხელშემკვრელი სახელმწიფო ვერ მოახერხებს მისი დათქმის განახლების ან მოდიფიცირების თაობაზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის ინფორმირებას, დათქმა ჩაითვლება ძალადაკარგულად.

7. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო, სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს პირის ექსტრადაციამდე მიღებული მოთხოვნის შემდეგ არ ახდენს პირის ექსტრადაციას, წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში გაკეთებული დათქმის საფუძველზე, იგი ნებისმიერი გამონაკლისისა და არაჯეროვანი გაჭიანურების გარეშე გადასცემს საქმეს მის კომპეტენტურ ორგანოებს გასამართლების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის გამგზავნი და მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოები შეთანხმდებიან სხვაგვარად. მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გასამართლების მიზნით, კომპეტენტური ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას იგივე წესით, რა წესითაც იგი ამას გააკეთებდა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ მძიმე დანაშაულთან მიმართებაში. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, საქმის წარმოების საბოლოო შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც მას გადაუგზავნის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ ორგანოს.

8. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ექსტრადაციამდე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ჯეროვნად მიეწოდება მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს. იმ შემთხვევაში თუ, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გონივრულ ვადებში მე-7 პუნქტის შესაბამისად არ იქნება გამოტანილი არსებით ფაქტებზე სასამართლო გადაწყვეტილება, მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული ფაქტის თაობაზე აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც საკითხს გადაუგზავნის შემდგომი რეაგირების კომიტეტს. შემდგომი რეაგირების კომიტეტი განიხილავს საკითხს და გამოიტანს დასკვნას უარის თქმის შესაბამისობაზე შესწორებულ კონვენციასთან და მიაწოდებს მას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შესაბამისი განცხადების გაკეთების მიზნით. აღნიშნული პუნქტით დაკისრებული ფუნქციის შესრულებისას, მინისტრთა კომიტეტი შეიკრიბება მხოლოდ ხელშემკვრელი სახელმწიფოთა შემადგენლობით.”

მუხლი 13

კონვენციის მე-16 მუხლის შემდეგ ჩამოყალიბდება ახალი მუხლი შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 17

1. მე-10 მუხლის გამოყენების ხელშეუხებლად, ჩამოყალიბდება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კონფერენცია (შემდგომში „COSTER“ –ად წოდებული), რომელიც პასუხისმგებელი იქნება:

a. წინამდებარე კონვენციის ეფექტურ გამოყენებასა და მოქმედებაზე, მათ შორის ნებისმიერი პრობლემის დადგენაზე, CDPC-სთან მჭიდრო კონტაქტების გზით;

b. მე-16 მუხლის შესაბამისად გაკეთებული დათქმების და განსაკუთრებით მე-16 მუხლის მერვე პუნქტში ჩამოყალიბებულ პროცედურის შესწავლაზე;

c. გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის ურთიერგაცვლაზე;

d. მინისტრთა კაბინეტის მოთხოვნით გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ზომების შესწავლაზე და აუცილებლობის შემთხვევაში წინადადებების შემუშავებაზე დამატებითი ზომების თაობაზე, რომლებიც აუცილებელია, რათა გაუმჯობესდეს საერთაშორისო თანამშრომლობა გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, ხოლო სისხლის სამართლებრივ საკითხებზე თანამშრომლობის შემთხვევაში, CDPC-სთან კონსულტაციის გზით;

e. გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დასკვნების მომზადებასა და მინისტრთა კომიტეტის მიერ მიცემული სამოქმედო პირობების აღსრულება.

2. COSTER-ი შედგება თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დანიშნული ერთი ექსპერტისაგან. ის რეგულარულად შეიკრიბება წელიწადში ერთხელ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ან ხელშემკვრელ სახელმწიფოთა არაუმცირეს ერთი მესამედის მოთხოვნით.

3. COSTER-ი დაამტკიცებს მის საპროცედურო წესებს. იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მონაწილეობის ხარჯები, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს დაიფარება ევროპის საბჭოს მიერ. ევროპის საბჭოს სამდივნო ხელს შეუწყობს COSTER-ს წინამდებარე მუხლის შესაბამისად სათანადო ფუნქციების განხორციელების საქმეში.

4. სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი პერიოდულად იქნება ინფორმირებული COSTER-ის საქმიანობის თაობაზე.

მუხლი 14

კონვენციის მე-14 მუხლი გადაკეთდება მე-18 მუხლად.

მუხლი 15

კონვენციის მე-15 მუხლი წაიშლება.

მუხლი 16

1. კონვენციის მე-16 მუხლი გადაკეთდება მე-19 მუხლად.

2. ახალი მე-19 მუხლის შესავალ წინადადებაში, ტერმინები "ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები" შეიცვლება ტერმინებით "ხელშემკვრელი სახელმწიფოები".

3. ახალი მე-19 მუხლის b პუნქტში, ტერმინები "ან მოწონება" შეიცვლება ტერმინებით "მოწონება ან მიერთება".

4. ახალი მე-19 მუხლის c პუნქტში, რიცხვი "11" შეიცვლება რიცხვით "14"

5. ახალი მე-19 მუხლის d პუნქტში, რიცხვი "12" შეიცვლება რიცხვით "15"

6. წაიშლება ახალი მე-19 მუხლის e და f პუნქტები.

7. ახალი მე-19 მუხლის g პუნქტი გადაკეთდება წინამდებარე მუხლის e პუნქტად და რიცხვი "14" შეიცვლება "18" -ად.

8. წაიშლება ახალი მე-19 მუხლის h პუნქტი.

მუხლი 17

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოწერისთვის ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს და რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ თავისი თანხმობა მის სავალდებულობაზე;

a. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების თაობაზე დათქმის გაკეთების გარეშე ხელმოწერით, ან

b. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების თაობაზე დათქმით გაკეთებული ხელმოწერით, რომელსაც მოსდევს რატიფიკაცია, მიღება ან მოწონება.

2. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 18

ოქმი ძალაში შევა იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიან პერიოდს იმ თარიღიდან, როდესაც კონვენციის ყველა მხარემ გამოსაგა თავისი თანხმობა ოქმის სავალდებულობაზე, მე-17 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 19

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეაგყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

a. ნებისმიერი ხელმოწერის თაობაზე;

b. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების შესახებ ნებისმიერი ინსტრუმენტის დეპონირების თაობაზე;

c. მე-18 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღის თაობაზე;

d. წინამდებარე ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეგყობინების ან კომუნიკაციის შესახებ.

რის დასტურად, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელისმომწერებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, ____ წლის ____ თვის ____ დღის ერთ ასლად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან ორივე თანაბრად ავთენტიკურია და რომელიც დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოს.

დანართი

**ევროპული კონვენცია
გერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
(კონსოლიდირებული ვარიანტი)**

ქვემოთ ხელისმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები:

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ რა გერორისტული აქტების ბრძლით გამოწვეულ მზარდ შემოტობებს;

სურთ რა გაატარონ ეფექტური ზომები, რათა ასეთი აქტების ჩამდენმა პირებმა თავი არ აარიდონ ბრალდებასა და სასჯელს;

აცნობიერებენ, რომ ექსტრადიცია წარმოადგენს განსაკუთრებით ეფექტურ ზომას ამ შედეგის მისაღწევად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის, არც ერთი შემდეგი დანაშაული არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით გამოწვეულ დანაშაულად:

a. დანაშაული, 1970 წლის 16 დეკემბერს ქ. ჰააგაში ხელმოწერილი საჰაერო ხომალდების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის ფარგლებში;

b. დანაშაული, 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში დადებული სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის ფარგლებში;

c. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1973 წლის 14 დეკემბერს მიღებული, საერთაშორისოდ დაცული პირების, მათ შორის დიპლომატიური აგენტის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციისა და დასჯის შესახებ კონვენციის ფარგლებში;

d. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1979 წლის 17 დეკემბერს მიღებული, მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში.

e. დანაშაული ქ. ვენაში 1980 წლის 3 მარტს მიღებული, ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში;

f. დანაშაული, ქ. მონრეალში 1988 წლის 24 თებერვალს შესრულებული, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის არაკანონიერი აქტების აღკვეთის შესახებ ოქმის ფარგლებში;

g. დანაშაული, ქ. რომში 1998 წლის 10 მარტს შესრულებული საზღვაო ნავიგაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების აღკვეთის შესახებ კონვენციის ფარგლებში;

h. დანაშაული, ქ. რომში 1988 წლის 10 მარტს შესრულებული, კონტინენტალურ შელფზე მდებარე ღამაგრებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების აღკვეთის შესახებ ოქმის ფარგლებში;

i. დანაშაული, ქ. ნიუ - იორკში 1997 წლის 15 დეკემბერს მიღებული, გერორისგული დაბომბვების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში;

2. რამდენადაც ისინი არ არიან გათვალისწინებულნი პირველ პუნქტში ჩამოთვლილი კონვენციებით, იგივე გამოიყენება, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის ექსტრადირების მიზნით, არა მხოლოდ ასეთი სერიოზული დანაშაულების ჩადენისას, როგორც დამნაშავე, არამედ:

a. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენის მცდელობა;

b. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენაში ან მათი ჩადენის მცდელობაში თანამშრახველად მონაწილეობა;

c. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ორგანიზება, ან სხვათა ხელმძღვანელობა ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში.“

მუხლი 2

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს არ მიიჩნიოს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულად ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ისეთ სერიოზულ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაული, რომელიც არ არის გათვალისწინებული 1-ლი მუხლით.

2. იგივე წესი გამოიყენება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი სერიოზული დანაშაულის მიმართ, რომელიც კოლექტიურ საფრთხეს უქმნის პირებს და არ არის გათვალისწინებული 1-ლი მუხლით.

3. იგივე გამოიყენება:

a. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ჩადენის მცდელობის შემთხვევაში;

b. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ჩადენაში ან მათი ჩადენის მცდელობაში თანამშრახველად მონაწილეობის შემთხვევაში;

c. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ორგანიზების, ან ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში სხვა პირთა ხელმძღვანელობის შემთხვევაში.

მუხლი 3

ექსტრადიციის საკითხებზე ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის მოქმედი ყველა ხელშეკრულებისა და შეთანხმების დებულებები ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ჩათვლით შეიცვლება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის იმდენად, რამდენადაც ისინი შეუსაბამობაში იქნებიან წინამდებარე კონვენციასთან

მუხლი 4

1. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის და იმ შემთხვევაში, თუ 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული არ არის აღიარებული, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულად ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის არსებულ ნებისმიერ კონვენციასა თუ ხელშეკრულებაში, იგი მაინც ჩაითვლება ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულად. ხელშემკვრელი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას განიხილონ ასეთი დანაშაულები როგორც საექსტრადიციო დანაშაულები მათ შორის შემდგომში დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში ექსტრადიციის შესახებ.

2. როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას უქვემდებარებს შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, იღებს მოთხოვნას ექსტრადიციის თაობაზე სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან, რომელთანაც მას არ გააჩნია ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ, მოთხოვნის მიმღებ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, განიხილოს წინამდებარე კონვენცია, როგორც სამართლებრივი ბაზა

ექსტრადიციისათვის იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც მოყვანილია პირველ და მეორე მუხლებში.

მუხლი 5

1. წინამდებარე კონვენციაში არაფერი არ შეიძლება განმარტებულ იქნას როგორც ექსტრადიციის ვალდებულება იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს, აქვს საკმარისი საფუძველი იმის საფარაუდოდ, რომ პირველ და მეორე მუხლებში გათვალისწინებულ დანაშაულებებზე ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა განხორციელდა პირის ბრალდების ან დასჯისათვის მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო ან თუ პირის მდგომარეობა შეიძლება დამძიმდეს რომელიმე ამ მიზეზის გამო.

2. წინამდებარე კონვენციაში არაფერი იქნება განმარტებული, როგორც ვალდებულების დამდგენი ექსტრადიციებზე, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დადგება წამების რისკის წინაშე.

3. წინამდებარე კონვენციაში არაფერი იქნება განმარტებული, როგორც ვალდებულების დამდგენი ექსტრადიციებზე, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი დადგება სიკვდილით დასჯის რისკის წინაშე ან სადაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობა კრძალავს სამუდამო პატიმრობას, სამუდამო პატიმრობის რისკის წინაშე, შესაბამისი სასჯელის გადახედვის შესაძლებლობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოსაყენებელი საექსტრადიციო ხელშეკრულების მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ექსტრადიცია, თუ მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფო იძლევა ისეთ გარანტიებს, რომლებსაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო მიიჩნევს საკმარისად, რათა უმაღლესი სასჯელი არ იქნას გამოგანილი, ან თუ გამოგანილია, არ იქნას აღსრულებული, ან აღნიშნულ პირს არ შეეფარდება სამუდამო პატიმრობა. მისი გადახედვის უფლების გარეშე.

მუხლი 6

1. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო მიიღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება აუცილებელი გახდეს მისი იურისდიქციის გასაზრცელებლად 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულზე, იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე და იგი არ მოახდენს მის ექსტრადიციას, ამის შესახებ მოთხოვნის მიღების შემდეგ იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან, რომლის იურისდიქციაც შესაბამისობაშია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იურისდიქციასთან.

2. წინამდებარე კონვენცია არ გამორიცხავს რაიმე სახის სისხლის სამართლებრივ იურისდიქციას, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 7

ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდება 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი და რომელიც მიიღებს მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, თუ იგი არ მოახდენს ამ პირის ექსტრადიციას, გადაცემს საქმეს, ყოველგვარი გამონაკლისისა და გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, თავის კომპეტენტურ ორგანოებს. აღნიშნული ორგანოები შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ მსგავსი სერიოზული დანაშაულისათვის დადგენილი წესით, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები გამოიყენებენ ერთმანეთის მიმართ სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების ყველაზე ფართო ზომებს 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. ყველა

შემთხვევაში გამოყენებულ იქნება სისხლის სამართლის სფეროში ურთიერთდახმარების შესახებ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელსაც წარედგინა თხოვნა ექსტრადიციის შესახებ. ამასთანავე არ შეიძლება უარი ითქვას იმ დახმარებაზე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი შეეხება პოლიტიკურ დანაშაულს, ან დანაშაულს დაკავშირებულს პოლიტიკურ დანაშაულთან ან პოლიტიკურ მოტივებით განპირობებულ დანაშაულს.

2. არაფერი წინამდებარე კონვენციაში არ შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ურთიერთდახმარების ვალდებულება, თუ სახელმწიფოს, რომელსაც მიმართეს ექსტრადიციის თხოვნით, აქვს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ 1-ლი და მე -2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა განხორციელდა პირის ბრალდების ან დასჯისათვის მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულების გამო.

3. სისხლის სამართლის საკითხებზე ურთიერთდახმარების შესახებ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის გამოსაყენებელი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ყველა დებულება, სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის ჩათვლით, შეიცვლება იმდენად, რამდენადაც ისინი შეუსაბამობაში იქნებიან ამ კონვენციასთან.

მუხლი 9

ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ მათ შორის დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები, რათა ჩაანაცვლონ წინამდებარე კონვენციის დებულებები ან ხელი შეუწყონ მასში შესული პრინციპების გამოყენებას.

მუხლი 10

1. სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი (CDPC) პასუხისმგებელია კონვენციის გამოყენების შემდგომ განხილვაზე. ევროპული კომიტეტი:

a. ინფორმირებულ იქნება კონვენციის გამოყენების თობაზე;

b. მოამზადებს წინადადებებს, კონვენციის გამოყენების ხელშეწყობის ან გაუმჯობესების მიზნით;

c. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს რეკომენდაციებს კონვენციის შესწორების წინადადებების თაობაზე და მიაწვდის თავის დასკვნას კონვენციის შესწორების ნებისმიერი წინადადებების შესახებ, რომელიც წარდგენილი იქნება ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მე -12 და მე -13 მუხლების შესაბამისად;

d. ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოხატავს თავის შეხედულებას კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

e. მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა ხელი შეუწყოს იმ ნებისმიერ სირთულის მეგობრულ გადაწყვეტას, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას კონვენციის აღსრულებიდან;

f. მიმართავს მინისტრთა კომიტეტს რეკომენდაციებით ევროპის საბჭოს იმ არაწევრი სახელმწიფოების თაობაზე, რომელიც მიწვეულ იქნებიან კონვენციასთან მისაერთებლად მე - 14 მუხლის შესაბამე პუნქტის შესაბამისად;

g. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ყოველწლიურად მიაწოდებს მოხსენებას კონვენციის გამოყენებისას წინამდებარე მუხლის გამოყენების შესახებ“.

მუხლი 11

1. წინამდებარე კონვენციის განმარტებასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებით ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, რომელიც არ იქნება მოგვარებული, მე -10 მუხლის e პუნქტით ან მოლაპარაკებით, დავის მონაწილე რომელიმე

მხარის თხოვნით გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს. ყოველი მხარე დანიშნავს თითო არბიტრს, ხოლო ეს ორი მედიატორი დანიშნავს სამედიატორო მოსამართლეს.

2. თუ დავაში ჩართულნი არიან მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, და მხარე ვერ ახერხებს მისი არბიტრის დანიშვნას, წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნიდან 3 თვის განმავლობაში, არბიტრი დანიშნება მეორე მხარის მოთხოვნით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

3. თუ დავაში ჩართულნი არიან მხარეები, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და მხარე ვერ ახერხებს მისი არბიტრის დანიშვნას წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნიდან 3 თვის განმავლობაში, არბიტრი დანიშნება მეორე მხარის მოთხოვნით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

4. წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე არის დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარის მოქალაქე, მის მოვალეობას შეასრულებს სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარე, ან თუ ვიცე-თავმჯდომარე წარმოადგენს, დავის რომელიმე მხარის მოქალაქეს, სასამართლოს ყველაზე მაღალი თანამდებობის მოსამართლე, რომელიც არ წარმოადგენს დავის ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოქალაქეს.

5. მემოხსენებულ მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული პროცედურები, *mutatis mutandis* გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ არბიტრები ვერ დანიშნავენ სამედიატორო მოსამართლეს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6. საარბიტრაჟო გრიბუნალი განსაზღვრავს საკუთარ პროცედურას. იგი გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით. როდესაც ხმათა უმრავლესობა ვერ იქნება მიღწეული, სამედიატორო მოსამართლეს გააჩნია გადამწყვეტი ხმა. არბიტრაჟის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო.

მუხლი 12

1. წინამდებარე კონვენციაში შესწორებების შეგანა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს, ან მინისტრთა კომიტეტის მიერ. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეაგყობინებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შესწორების შეგანის წინადადებების შესახებ.

2. არაწევრი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისა და თუ აუცილებელია სისხლის სამართლის პრობლემებზე ევროპული კომიტეტის კონსულტირების შემდეგ, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს შემოთავაზებული შესწორებები ევროპის საბჭოს წესდების მე-20დ. მუხლით გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობით. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მიღების მიზნით გადაუგზავნის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ნებისმიერ შესწორებებს.

3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შესწორება ძალაში შევა ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ შესწორების მიღების შესახებ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შეგყობინების დღიდან 30-ე დღეს.

მუხლი 13

1. პირველი მუხლის პირველ პუნქტში მოყვანილ ხელშეკრულებათა სიის განახლების მიზნით, შესწორებები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მინისტრთა კომიტეტის მიერ. აღნიშნული წინადადებები შესწორებების შესახებ დაკავშირებულ იქნება მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებულ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებულ და უკვე ძალაში შესულ ხელშეკრულებებს. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი წინადადებებს მიაწოდებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს.

2. არაწევრ ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან და აუცილებელია სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპულ კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს შემოთავაზებული შესწორება ევროპის საბჭოს წესდების მე-20დ. მუხლით გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობით. შესწორება ძალაში შევა იმ თარიღიდან ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც ისინი გადაგზავნილ იქნენ ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის, ამ დროის განმავლობაში, ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია აცნობოს გენერალურ მდივანს მასათან დაკავშირებით ძალაში შესვლაზე ნებისმიერი შენიშვნის თაობაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ერთი მესამედი აცნობებს გენერალურ მდივანს შენიშვნებს შესწორების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, შესწორება ძალაში არ შევა.

4. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ერთ მესამედზე ნაკლებს გააჩნია შენიშვნები, შესწორება ძალაში შევა მხოლოდ იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც არ გამოთქვეს თავისი შენიშვნები.

5. თუ შესწორება ძალაში შევიდა წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად და ხელშემკვრელმა სახელმწიფომ წარმოადგინა შენიშვნები, აღნიშნული შესწორება ამ ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის ძალაში შევა იმ თარიღიდან ერთთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც იგი აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მასზე თანხმობის შესახებ.

მუხლი 14

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოწერისათვის ევროპის საბჭოს წევრი და დამკვირვებელი სახელმწიფოების მიერ. იგი ექვემდებარება რაგიფიკაციას, მიღებას, მოწონებას ან მიერთებას. სარაგიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ სიგელები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა მესამე სარაგიფიკაციო სიგელის, მიღებისა და დამტკიცების საბუთის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტის კონსულტირების შემდეგ, შეუძლია კონვენციასთან მისაერთებლად მოიწვიოს ევროპის საბჭოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან მითითებული წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში. გადაწყვეტილება მიღებულ იქნება ევროპის საბჭოს წესდების მე-20დ. მუხლით გათვალისწინებულ ხმათა უმრავლესობით და მინისტრთა კომიტეტში მონაწილეობის უფლებით აღჭურვილი ხელშემკვრელი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

4. იმ ხელმომწერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომ მოახდენს რაგიფიცირებას, მიღებას, მოწონებას თუ მიერთებას, წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა მისი სარაგიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ სიგელის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 15

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერისას ან მისი სარაგიფიკაციო მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას განსაზღვროს ის გერიგორია ან გერიგორიები, რომლებზეც გავრცელდება ან არ გავრცელდება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია სარაგიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ სიგელების დეპონირებისას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით გაავრცელოს ამ კონვენციის მოქმედება ნებისმიერ სხვა გერიგორიაზე ან გერიგორიებზე რომლებიც განცხადებაში იქნება განსაზღვრული და რომლის საერთაშორისო

ურთიერთობებზე იგი არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც იგი უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები.

3. წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ასეთ განცხადებაში გათვალისწინებულ გერიგორიასთან მიმართებით შეიძლება გამოთხოვილი იქნას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეგყობინების გაგზავნის გზით. ასეთი გამოთხოვება ძალაში შევა დაუყოვნებლივ ან ნებისმიერ მომდევნო თარიღზე, რომელიც განსაზღვრული იქნება ამ შეგყობინებაში.

მუხლი 16

1. კონვენციის შემსწორებელი ოქმის ხელმოსაწერად გახსნის დღისათვის კონვენციის მხარე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია კონვენციის შემსწორებელი ოქმის ხელმოწერისას ან სარაგოფიკაციო სიგელის, მიღებისა თუ მოწონების შესახებ ინსტრუმენტის დეკონირებისას განაცხადოს, რომ იგოვებს უფლებას უარი თქვას ექსტარდიციაზე 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთან მიმართებით, რომელსაც იგი მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად, ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად, ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულად. ხელშემკვრელი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას გამოიყენოს აღნიშნული დათქმა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამის დამუშობებელ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით და დანაშაულის ხასიათის შეფასების დროს ჯეროვნად გაითვალისწინოს დანაშაულის განსაკუთრებით სერიოზული ნებისმიერი მხარე, მათ შორის:

a) როდესაც მან შეუქმნა კოლექტიური საფრთხე პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და თავისუფლებას; ან

b) როდესაც მიაყენა იმ პირებს, რომლებზეც არ ვრცელდებოდა დანაშაულის ჩადენის მოტივაცია; ან

c) როდესაც დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ იქნა ბოროტი ან ვერაგი საშუალება.

2. როდესაც გამოიყენება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი, ხელშემკვრელი სახელმწიფო მიუთითებს იმ დანაშაულებს, რომელთა მიმართებაშიც გამოყენება მისი დათქმა.

3. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოს დათქმა, რომელიც მან გააკეთა პირველი პუნქტის შესაბამისად, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის განცხადების გაგზავნით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების თარიღიდან.

4. ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არა აქვს უფლება მოითხოვოს პირველი მუხლის გამოყენება ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიერ; თუმცა, თუ მის მიერ გაკეთებული დათქმა არის ნაწილობრივ ან პირობითი მას შეუძლია, მოითხოვოს 1-ლი მუხლის გამოყენება იმ მოცულობით, რომლითაც მან იგი თავად აღიარა.

5. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დათქმები მოქმედებენ დაკავშირებულ სახელმწიფოსთან მიმართებაში, შესწორებული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან სამი წლის ვადით, თუმცა, ასეთი დათქმები შესაძლებელია განახლებულ იქნან იგივე ვადით.

6. დათქმის ვადის ამოწურვამდე თორმეტი თვით ადრე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეს აღნიშნული ვადის ამოწურვის თაობაზე. ვადის ამოწურვამდე, არაუგვიანეს სამი თვით ადრე, ხელშემკვრელი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ იგი გოვებს ძალაში, ცვლის ან აუქმებს მის დათქმას. მაშინ, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ იგი გოვებს ძალაში დათქმას, მან უნდა წარადგინოს ასეთი გაგრძელების დამასაბუთებელი ახსნა. იმ შემთხვევაში თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო არაფერს არ აცნობებს გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ხელშემკვრელ

სახელმწიფოს, რომ მისი დათქმა ითვლება ავტომატურად განახლებულად მომდევნო ექვსი თვით. იმ შემთხვევაში თუ ამ პერიოდის ამოწურვამდე, ხელშემკვრელი სახელმწიფო ვერ მოახერხებს მისი დათქმის განახლების ან მოდიფიცირების თაობაზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ინფორმირებას, დათქმა ჩაითვლება ძალადაკარგულად.

7. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო, სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოდან პირის ექსტრადიციამზე მიღებული მოთხოვნის შემდეგ არ ახდენს პირის ექსტრადიციას, წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში გაკეთებული დათქმის საფუძველზე, იგი ნებისმიერი გამონაკლისისა და არაჯეროვანი გაჭიანურების გარეშე გადასცემს საქმეს მის კომპეტენტურ ორგანოებს გასამართლების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის გამგზავნი და მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოები შეთანხმდებიან სხვაგვარად. მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გასამართლების მიზნით, კომპეტენტური ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას იგივე წესით, რა წესითაც იგი ამას გააკეთებდა მის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ მძიმე დანაშაულთან მიმართებაში. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, საქმის წარმოების საბოლოო შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც გადაუგზავნის მას შემდგომი რეაგირების კომიტეტს.

8. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ექსტრადიციამზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ჯეროვნად მიეწოდება მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს. იმ შემთხვევაში თუ, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გონივრულ ვადებში არ იქნება გამოგანილი არსებით ფაქტებზე სასამართლო გადაწყვეტილება მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული ფაქტის თაობაზე აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც საკითხს გადაუგზავნის შემდგომი რეაგირების კომიტეტს. შემდგომი რეაგირების კომიტეტი განიხილავს საკითხს და გამოიგანს დასკვნას უარის თქმის შესაბამისობაზე შესწორებულ კონვენციასთან და მიაწოდებს მას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შესაბამისი განცხადების გაკეთების მიზნით. აღნიშნული პუნქტით დაკისრებული ფუნქციის შესრულებისას, მინისტრთა კომიტეტი შეიკრიბება მხოლოდ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შემადგენლობით.

მუხლი 17

1. მე-10 მუხლის გამოყენების ხელშეუხებლად, ჩამოყალიბდება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კონფერენცია (შემდგომში COSTER –ად წოდებული), რომელიც პასუხისმგებელი იქნება:

a. წინამდებარე კონვენციის ეფექტურ გამოყენებას და მოქმედებაზე მათ შორის ნებისმიერი პრობლემის დადგენაზე, CDPC-სთან მჭიდრო კონტაქტების გზით;

b. მე-16 მუხლის შესაბამისად გაკეთებული დათქმების და განსაკუთრებით მე-16 მუხლის მერვე პუნქტში ჩამოყალიბებულ პროცედურის შესწავლაზე;

c. გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის ურთიერთგაცვლაზე;

d. მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნით გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ზომების შესწავლაზე და აუცილებლობის შემთხვევაში წინადადებების შემუშავებით დამატებითი ზომების თაობაზე, რომლებიც აუცილებელია, რათა გამოსწორდეს საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში, ხოლო სისხლის სამართლებრივ საკითხებზე თანამშრომლობის შემთხვევაში, CDPC-სთან კონსულტაციის გზით

e. გეროორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში დასკვნების მომზადებასა და მინისტრთა კომიტეტის მიერ მიცემული სამოქმედო პირობების აღსრულება.

2. COSTER-ი შედგება თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დანიშნული ერთი ექსპერტისაგან. ის რეგულარულად შეიკრიბება წელიწადში ერთხელ, ხოლო განსაკუთრებულ

შემთხვევებში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ან ხელშემკვრელ სახელმწიფოთა არაუმცირეს ერთი მესამედის მოთხოვნით.

3. COSTER-ი დაამტკიცებს მის საპროცედურო წესებს. იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მონაწილეობის ხარჯები, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს დაიფარება ევროპის საბჭოს მიერ. ევროპის საბჭოს სამდივნო ხელს შეუწყობს COSTER-ს წინამდებარე მუხლის შესაბამისად სათანადო ფუნქციების განხორციელების საქმეში.

4. სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი პერიოდულად იქნება ინფორმირებული COSTER-ის საქმიანობის თაობაზე.

მუხლი 18

ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეგყობინების გაგზავნით. ნებისმიერი ასეთი დენონსაცია ძალაში შევა დაუყოვნებლივ ან ნებისმიერ მომდევნო დღეს, რომელიც მითითებული იქნება ამ შეგყობინებაში.

მუხლი 19

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეაგყობინებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b) სარაგიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ სიგელის დეპონირების ნებისმიერი თარიღის შესახებ;
- c) მე-14 მუხლის შესაბამისად წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი ფაქტის შესახებ;
- d) მე-15 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი განცხადებისა თუ შეგყობინების შესახებ;
- e) მე-18 მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეგყობინებისა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

რის დასტურადაც, ქვემოთ ხელისმომწერმა სათანადოდ უფლებმოსილმა პირებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 1977 წლის 22 იანვარს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუტენტიურ ტექსტებად, ერთ პირად, რომელიც დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოს.